



№ 26.—1914

ფანკი 10 კ.

კვირა, 31 აგვისტო.



ფერდინანდ ლასალი

სსკეღანთქმული ფალოსოფოს-მწერალი და სს-
 ზოგადო მოღვაწე
 (დღეს, 31 აგვისტოს, შესრულდა მისი გარდაცვალება. 50 წელი)



1. სადღესასწაულო სეზონი, მეთაურა	1
2. ქართ. დრ. საზ. გამგეობის დასის შეკრების I-ლი დღე, ჭიტასი	2
3. ჩვენი თეატრი გადასაკეთებელია, თავისუფალ მეთაფაფურას	3
4. რკალები—მოწყვეტილი ხმალი, აკაკი ხაზაფასი	4
5. „ილოცე, დენის, ილოცე“, დ.ე. კალაჩნიძისა	5
6. ქალო საწყალო ლექსი, მ. ვეჯის-ცხიხელასა	6
7. რას უქადის ხელოვნებას მომავალი, ად. წერეთლისა	„
8. ცხოვრება (გაგრძელება), ს. გლახა-შვიდისა	7
9. ლადო აღნიშნული (გაგრძელება), ად. შირაძისა	11
10. მზრუნავი ღვთაება, ან. შექანასი-შვიდისა	12
11. დედის მკვლელობა (მოთხრობა), ევ. ფურცხვანიძისა	13
12. კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი თბილისში, ს.-ხასა	15
13. წვრილი ამბები; შარყები; სურათები.	

თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, თეატრთან მოაწეოს სპეციალისტების ხელმძღვანელობა

სამხალისო პრამუსული სპულის
 ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვს, ჩაუწერონ ამ თაგითვე გამგეობის კონტროლში. ჩაუწიოს ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბერამდე. სწავლა უფასო იქნება. პირობების გავება შეიძლება კონტროლში დღისით I—3 საათამდე. წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქმნეს დრ. საზ. კანტორაში.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრადიციის გამოცემის მხედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე).—გამოცემა ივანე მაჩაბლის მიერ შეიცავს ათასამდე გვერდს, ლდი ფორმატისა. გამოცემის დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადღებულ იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძქიშა.—მათთვის ხელისმწერა განაწილებულია სამ ვადალ: პირველი შემოსატანი—1 მან., მეორე—პირველ ნომერს—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს. წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელისმწერა მიიღება თბილისში: ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამოცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) და ქუთაისში მთავრ-შეიღისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამოცემელი კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.



№ 26

წ. 11

წლიურად 5 მ., ნაბევარ წლით 3 მ., კალკულაციური ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. საზ. კანტორაში და „სორაბან“-ს სტამბაში. მისამართი: Тифлиის, Грузинский Театръ, ред. „Театри და Цховრება“ Юс. Иmediashvili

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირი მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დილით 9—2 ს., სარდაშოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-9, სტამბისა — 15-41.

№ 26

კ ვ ი რ ა 31 ა ბ ვ ი ს ტ

1914 წ.

31 აბვისტო

სადღესასწაულო სეზონი

ოცდახუთმეტი წელიწადი უსერულდა, რაც ჩვენი დრამატული საზოგადოება მოქმედობს.

დაარსების დღიდან ამ საზოგადოებას სათავეში ედგნენ ჩვენის ქვეყნის სახელგანთქმულნი შვილნი, რომელთაც თვისი შორგამჭვრეტელობით ადრევე შეიგნეს ღიალი მნიშვნელობა ეროვნულის თეატრისა, საძირკველი ჩაუყარეს და მის განმტკიცებას მხედ შეუდგნენ. ამავე დღიდან აღმოუჩნდნენ ჩვენს სცენას ნიჭიერნი, თავგამოდებულნი, მამულის სიყვარულით აღფრთოვანებულნი მსახიობნი, რომელნიც გაჭირება-დაღონების მიუხედავად, მუდამ ერთგულად ღვდელმსახურებდნენ სამშობლო სცენის საკუთხეველში... განვილოდ გამოცობათა ზოგიერთ წვერთან და მსახიობ-ქურუმთ თვისი ძალ-ღონე სამშობლო სცენას მიუძღვნეს, რომ იგი სასურველ ღონემდე აყვანათ... და ჩვენმა თეატრმაც არა-ჩვეულებრივი საქმენი მოიქმედა: ჰქმნა ის, რაც ვერ შესძლო ეკლესიამ, სკოლამა და ოჯახმა,—მან შეიტანა ქართველ ხალხში თვითცნობიერება, გრძობა-გონებით გააფაქიზა, ჩაახედა წარსულში, აწყყარეს სარკვეა და მომავლის იდელები დაუსახა.


ქართველი მსახიობი დღემდე უშეტესად ნარ-ეკლიანი გზით ვიღოდა, მაგრამ იგი მუდამ მოქალაქე-მქადაგებელი იყო უკეთეს მიწაწარაფებათა, აღმზრდელი და მწრთველი თანამემამულეთა...

ასევე იყო ბევრი გამგეობის წევრი—პირადი შრომის გარდა, ნიუთიერადაც ეხმარებოდა საქმეს, და ორივე—გამგეობა და დასი—

ავად თუ კარვად; ცდილობდნენ არ ჩაეკროთ წმიდა ცეცხლი იმ კერაში, რომელიც მარადის ჩვენს ზემადღებებს ემსახურებოდა...

ამ 35 წლის წინად თითქმის აპარაისი-გან“ შეიქმნა მუდმივი დასი, უცნობთ უცებ მიიპყრეს საყვებლოთა ყურადღება, დაიმსახურეს სიყვარული და ქვეყნის მადლობა. დღეს, ამ 35 წლის თავს, როდესაც ჩვენს დრამ. საზ. გამგეობას რჩეულნი პირნი მსვენებურობენ და დასიც თითქმის ახალგაზდები-საგან შესდგება, ჰმართებთ მოიგონონ ქირავებაში გამოვლილი ღვაწლმოსილი დენნი ჩვენის სცენის წარსულისა, მის ქურუმთა ნამოღვაწევი, და მით აღფრთოვანებულნი შეუდგნენ საქმეს... წრეწადელი სეზონი ჯამი უნდა იყოს წარსულისა... და რამდენად ბეჯითად წარმართვენ მდგომარე სეზონს, იმდენად უფრო ღირსეულად იღღესასწაულებენ წარსულის ღვაწლს. წინა თაობის ნაღვაწი მადლობით მოვიხსენიოთ, ხოლო იმავე დროს ახალი გზის ძიებას ნუ მოვშლით... აწინდელმა გამგეობამ უნდა დამტკიცოს, როდენად ღირსეული მოადგილეა სახელოვან გამგეობათა; დასმაც - ახალმა თაობამ—ქვეყნას უნდა უჩვენოს, რომ არც იგია უღირსი მემკვიდრე სცენის მხრით სახელოვან წინაპართა.

დაე, მუდმივამც ღვიოდეს ცეცხლი იმა ღვთიურ კერაში, რომელიც გამოაშუქებს მადლსა სიყვარულისა, თვითცნობიერებისა და გაადაშიანებისა.



ქართ. დრ. საზ. გამგეობისა დ დასის შკერების 1-ლი დღე

სამშაბათს, 25 აგვისტოს, ქართ. თეატრის ფი-
 ვში შვიკინენ დრ. საზ. გამგეობის წევრნი თავ. პ.
 ი. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით და სჯონში
 მოწვეული ყველა მსახიობნი. გამგეობის წევრთაგან
 დაესწრენ: თავ. ი. ა. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვი-
 ლი, დ. დუმბაძე, შ. მესხიშვილი, შ. მიქელაძე; დამ-
 სახურებულ მსახიობთაგან: ვ. აბაშიძე, ეფ. მესხი,
 ელ. ჩერქეზიშვილი, რეისორანი: მ. ქორელი, ა. წუ-
 წუნავა და მთელი ახალგაზღვრება (დასი). კრება ფრიალ
 აღფრთოვანებული და ბევრ იმების მომცემი იყო.
 ეტაობადა კრების დამსწრეთ კარგად გაეთვალისწი-
 ნებინათ ის საქმე, რისთვისაც შკერებილიყენენ მსა-
 ხიობთ პირველად მიესალმა გამ. წევრი ბ-ნი **შ. მისხი-
 ხილი**, რომელმაც სთქვა—ძნელი პირობები შეიქმნა,
 დასიც უმეტესად ახალგაზღვრებისგანა შემდგარი, მაგრამ
 ეს საშიში არ არის, რადგანაც ძალა და მომავალი
 ახალგაზღვრებაშია, და თუ ამ ძალას შეგნებით, მუყაი-
 თად ავაშუშავებთ, მე მწამს ლელოსაც გავიტანთო.
 ქართული სცენა დიდი ეროვნული დაწესებულება და
 მის მამალებე—დაწინაურებებს საერთო ძალღონით
 უნდა შეეცადნეთ. თანამედროვე სათეატრო ხელოვნე-
 ბაში რომელიმე კერძო არტისტის პიროვნებას იმა-
 დენა მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ახლა განსა-
 კუთრებით ანასბლის შექმნას უნდა ვცდილობდეთ.
 ამითი მსახიობის პიროვნება—ნიჭი სრულიად არა
 მცირდება. ყოველივე ჩვენგანი დირსი უნდა იყოს
 ეფსახურის იმ დიდებულ ეროვნულ საქმეს, როგორიც
 ქართული თეატრია. თეატრის ჯეროვან ნიადაგზე და-
 ყენებისათვის კი საჭიროა დავივიწყოთ და მოესპოთ ის
 უსიაოვანო მოვლენანი, რომელსაც თქვენ ჩემზე კარ-
 ვად იცნობთ: არ უნდა ჰქონდეს ადგილი შურს, მტრო-
 ბას, პირადი თავმოყვარობის საერთო საქმეზე მალა
 დაყენებას. დროა ქართველი არტისტი შეგნებულ პი-
 როვნებად გარდაიქცეს და უფრო ინტელიგენტურად
 მოეკიდოს საქმესო. მეორე სიტყვა წარმოთქვა გამ.
 წევრ. თავ. **ი. ა. ბარათაშვილმა** და მოკლედ დაა-
 ხასიათა ქარ. თეატრის დიადი მნიშვნელობა. ჩვენის
 ცხოვრების—წარსულის, აწმყოს და მომავლის—სარკე
 ჩვენი სამშობლო სცენაა, ქართული თეატრი; იგია ერო-
 თად-ერთი წმიდა ტაძარი, სადაც თავისუფლად განის-
 მის ქართული ენა, პიროვნება მშზღუდული არ არის
 და თვითულს თქვენგანს თავისუფლად შეუძლიან ფარ-
 თოდ გაშალოს თავისი ნიჭი და ძალა.

შემდეგ რეისორმა **ალ. ჟუჟუნაშვილმა** მიმართა
 დასს: ისა სჯობია მამულისათვის, რომ შვილი სჯობ-
 დეს მამასო. თუმცა ზოგიერთი „ძველთაგანი“ მტრუ-
 ლის თვლით გვიყურებენ ახალგაზღვრებს, მაგრამ მათ
 შორის არიან ისეთნიც, რომელნიც ახალ ძალებს გულ-
 წრფლად შეხვარიან. ჩვენი თეატრი ერთ ადგილზეა გა-
 ყინულ-შეჩერებული, საჭიროა მისი ახალ გზაზე გამოყვანა
 და ამას—ჩვენგან—ახალგაზღვრებნი მოვიან. ჩვენ

უნდა შეეკნათ ქართული ეროვნული თეატრი, გარ-
 კვეული სახისა, საკუთარი გზის მქონე. და ეს მაშინ
 შეიძლება, როცა მსახიობნი ხელოსანი კი არ იქნე-
 ბით, არამედ ნამდვილი ხელოვანი... თეატრში მხო-
 ლოდ პირადი მიზნისთვის კი არ ივლით, არამედ უნ-
 დლოვნების სასამახუროდ... მუშაობა თქვენი ხედა
 იყოს წმიდა, ვით მღვდელ-მსახურება, ლოცვა სასოე-
 ბითი, უმწიკვლო, ზედამამყრანი... ჩვენ თანასწორი
 ამხანაგები ვართ, ერთი საქმის მუშანი, ყველას ამხა-
 ნაგაგურად მოუპყრობი სცენის გარეშ, მაგრამ სცენა-
 ზე, მუშაობის დროს უწესებებს არაფის ვაპატებებ,
 ვინც უნდა იყოს... სცენის საქმე პარტიის გარეშე
 უნდა იდგეს, თუ გვინდა ხელოვნების უმაღლეს და-
 ნიშნულეებს წმინდად შესრულებაო. ამის შემდეგ **იო-
 სებ იმედაშვილმა** მოკლედ დაახასიათა გამგეობისა და
 დასის ურთიერთობა. კარგა ხანია ჩვენს საზოგადო,
 განსაკუთრებით თეატრის, საქმეებს თვალყურს ვადე-
 ნებ და თითქმის ყოველთვის ერთი რამ შემინიშნავსა:
 საქმის დასაწყისში მშვენიერი სიტყვების წარმოთქმა,
 მეორე-კი გულგრილობა. ვისთვის ამ დარბაზში წარ-
 მოთქმული მშვენიერი სიტყვები უშედეგოდ არ დარჩე-
 ნილიყოს. მით უმეტეს ენატობ ამას, რომ ჩვენის
 გამგეობისა და დასის ურთიერთობას მუდამ ერთი
 ნაკლი ადევნება ხოლმე—წიფობები გაკარგება, რო-
 მელიც შუა სჯონში თარის მოშვებული სიმით გაიყ-
 ვალეებს ხოლმე; ეს გარემოება—ჯამაგირების დროზე
 მიუტკმლობა ერთის მხრით მსახიობთ უკარგავს მუ-
 შაობის ხალისს, მეორეთ—გამგეობის წევრთ აგულ-
 ძმარებს და ძვირფასი დრო, რომელიც ხელოვნების
 დინჯ, მუყაით სასახურს უნდა უნდებოდეს, ფულის
 შოვნის, ჯამაგირის მიღების ფიქრში მიდის... ასეთ
 მდგომარეობაში მსახიობი არა თუ ბიესის წაყითხვას
 და ანსაბლზე ფიქრობს, როლიც ვერ წაუყითხვას.
 მსახიობი სულიერად დამშვიდებული უნდა იყოს, რომ
 მისმა შემოქმედებამაც ფრთა გაშალოს. ანდა მუდამ
 უფულობით შეწუხებულ გამგეობას სად შეუძლიან რი-
 გიან რეპერტუარიისა და ანსაბლით მოწყობილ წარ-
 მოდგენაზე ფიქროს? თავი და თავი ისა გამგეობასა
 და მსახიობთ შორის იყოს კეთილ-განწყობილება,
 სრული შეთანხმება, ასე ესთქვათ **ანსაბლი**, რომ სცე-
 ნაზედა იგივე შეიქმნას. მეორე მხრით—ქართველმა
 მსახიობმა უნდა იცოდეს, რომ იგი მხოლოდ ხელოსა-
 ნი—აქტიორი, ლუკმა-პურის მაძიებელი არ არის, რო-
 გარც უმეტეს შემთხვევაში სხვთა სცენაზე: არა, იგი
 ამიტომ მთელი თვისი არსებით უნდა ემსახუროს სცე-
 ნასა და ხელოვნებას არ უღალატოს, გამგეობასა და
 დასს მპართებს ურთიერთის ხელის შეწყობა, თავვე-
 მოდებული მუშაობა და მით ჩვენის თეატრის საქმეც
 უყვდ-მოწყობა. უმთავრესია—გამგეობამ მსახიობნი

ნივთიერად უზრუნველყოფს და მუშაობაც მოსთხოვოს, მსახიობთ კეთილსინდისიერად აღასრულონ თვისი მოვალეობა, და შრომის ჯილდო და პატივისცემაც მიიწიონ.

საუბრის შემდეგ მსახიობთ მორათვეს ჩაი, ხილი და შამანიური. ვეგობრულ ნადიმზე **გამამართის თამაჯვ-დომარამ თაჰ. პაჰ. იოს. თუმანიშვილი**ა მეტად გრძნობიერი სიტყვა წარმოთქვა. მოკლედ ახსნა, რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სათეატრო ხელგუნებასა და მის მსახურს—მსახიობს. დიდი და პატარა როლი არ არსებობს: კარგ მსახიობს შეუძლიან სულ უზნოშენგლო როლიტკი დიდთ გამოაჩინოს ნიჭიერის შესრულებითა. თქვენი მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს შეთანხმებული მუშაობით შექმნათ მთლიანი სურათი, რომ სათანადო შთაბეჭდილება მოახდინოთ. მსახიობთ ნივთიერი მზარეც, რასაც იოსებ იმედაშვილი შეეხო, მოწესრიგდება და ყოველი მსახიობი კუთვნილს თავის დროზე მიიღებს: სიტყვას გაძლევთ ამ მხრით უზრუნველყოფილ იქნებით და ვაპირებებს აღარ განიცადოთო. დღემდე შორს ყოფნის გამო საქმისთვის გყოფდენი არაფერი მირგია, მაგრამ დღეის შემდეგ ვეცდები ჩემი ცოდნა და ძალ-ღონე სამშობლო სკენის წარმატებას შეესწირო. თქვენცა გთხოვთ, გულ-წრფელად, აშხანაგურად, ძმურად ხელისხელ ჩაიღებელი იმუშაოთ და ყოველ-გვარ შინაურ უთანხმოებას, თუ დაიბადება, შინეე მოუღოთ ბოლო: ამიტომ საჭიროა, ყოველ მიზეზის გამოსარყვევად გამგეობასთან იქნოთ საქმეო. თაგ. პ. ი. თუმანიშვილის სიტყვას აღტაცებულის ტაშის ცემით შეეგებენენ. ამ სიტყვამ ყველას გული სასოებით აღუფსო და მეტკიცე რწმენა ჩაუნერგა.

ჭიბა

ჩვენი თეატრი გავსაბუთიებელია

როგორც წინა წელიში ვსთქვით (ათ. და ტა. № 25), ჩვენი თეატრი უნდა გადაკეთდეს და, რაც შეიძლება, დროით.

თეატრის ჰატრონად თავდა-ახსნურობა ითვლება, მაგრამ ვითარცა სერო დაწესებულება, განურჩევლად წოდებისა, იგი მთელს ქართველებას ეკუთვნის. თვითონ ჰატრონიც სომ მთელს თავის ქონებას ამ თვალთ უტქვრის, რადგან თუ საიდანმე რამ შემოსავალი აქვს, იმ შემოსავლით ისევე საზოგადო, ეველს წოდებისათვის სასარგებლო საქმეებს ასმარებს. ეს ისე ცხადია ეველასთვის, რომ მტკიცება, მკონია, არ ესაჭიროება. დაიდ იგი თეატრის ჰატრონია და იმდენად, რამდენადაც სრულ უფლებებით აღკურვოდ იურადიულ ჰირისგან ჰატრონობა ესაჭიროება, მოხმარებით კი იგი საზო-

გადა, სერო და ამიტომც ეველს გონიერ ქართველისგან ამ თეატრზე ზრუნვას და დახმარება ვაღდებულებათი საქმეა, მით უფრო, რომ მისს იურადიულს ჰატრონის იმასე უვეე დიდი ფული აქვს დახარჯული და კვლავ, როდესაც უანისოდაც მრავალი სხვა, ისევე საზოგადო თავისების საქმე აქვს საზრუნავი და ხარკის განსაწყვეტი, თეატრის ხელახლად გადაკეთების დახარჯვას ვეღარ მოვითხოვთ. ეს ხარჯი სხვა საზოგადო დაწესებულებას უნდა მოვითხოვოთ და სწორედ იმას, ვინც ამ თეატრით უფრო ხარგებლობს.

ეს დაწესებულება არის „ახალი კლუბი“. სწორედ იმას უნდა იგისროს სხეებელი გადაკეთება, ვერ იმ საბუთით, რომ ეს მისთვის სასარგებლო იქნება—შემოსავლს მეტს მიხედვს, მოსულ დასეში მეტს მუშტარს გაუხენს, და მეტე კიდეე იმიტომც, რომ ზნეობრავად არის იგი ამის მოვალე: ქართველი საზოგადოების გონიერს ნაწილს მისგან გულის მოკება ესაჭიროება და ხა რა მიხეებით.

კარგად გვახსოვს, რომ „ახალი კლუბის“ მოთავე-დამფუძნებელთ სზრად ქქონდათ—მართო სახელით კი ანა, „სახრავითნა მართლახალი კლუბი დაჯარსებისათ, ისეთი, რომ ქართველებს ერთმანერთის გაცნობით და ჯარების განიარებით შესდებოდათ დაქსაქსულობად ამ კისნათ თავი და საზოგადობრავ ცხოვრებას შესდგომოდნენ. იქ ეველს შექტევა გონიერული უნდა ეფოფიყო: რევერატები, ლქციები, კონტერტები, წარმოდეკენები და სხვა. სუდ ქართულად, ქართველებისთვის. სოდე რასაც უდროს გატარებასა ექსისან, ისიც ისეთი უნდა ეფოფილიყო, რომ ქართველის ზნისა და ჯობისათვის არა ეენროა. ერთი სიტყვით ახალი კლუბი უნდა ეფოფილიყო ქართველისთვის ეოველმხრავ სასარგებლო დაწესებულება, მართლახალი ტიპის კლუბი. ნამდევილად კი ჩვეულებრივი კლუბი განისხნა—ლოტო-ბანქოთი, სთათამოთ და დროისად ეფულის ამო ეფანავით. ამ კლუბში ქართველი, თავის დაუღევეროთ თავისეების გადამიდეე, უფრო ადევილად იფლანკება, უფრო გაქსოვებულ ცხოვრებას ეხვევას და უფრო მეტად ესაქმურდება. ვინც ამ თავითვე ესეთია, თავის ესაქმურად და მფლანკავი ცხოვრება დეე

განაგრძოს, მაგრამ სმწყუსროთ ის არის, რომ ამ გზაზე სიარულს ისიც კი იწყობს, ვინც უამკლუოდ სხვა კლუბში თავის სიტაცსე- შაც არ შევიდოდა... კლუბი კი მიდრდება... და რომ წინა დღისაზრული მისი გზადმ გუ- დასვევს რთიმე განაზრდოს, კარგს იხამს ქართველების ჯიბიდან მოგროვილი ფუ- ლის ნაწილით თეატრი ნამდვილ თეატრად გადააქეთოს; ეს არც ძნელია მისთვის, მის- თან სასახელი და სასაზრდო არის; გადაკეთე- ბაზე დასარჯულ ფულს ოთხ-ხუთ წელიწადში იმავე თეატრით აინახდებურებს და უმადურ ქარ- თველბაზსაც შეირიგებს.

თავისუფალი მეოვალეურე

რ კ ა ლ მ ბ ი

„მოწყვტილი ხმალი“

ჩემი რწმენით, ხელაფნებს დარგთა შა- რის ქანდაკება უფრო სხაიფათო და სხედისწე- რთა შემოქმედისათვის.

თუ სხვა სხათი სანძელთა ხელაფნის გა- მარჯვება, მით უმეტეს აქ იგი სიძნელე განსეუ- რებულა და სძირად შემოქმედება კატასტრო- ფით თავდება.

მოქანდაკე მოკლებულია სიტყვას, ჭანგებს, იფრადებს და სხვ., რაც ზუცილებულია შემოქმე- დის განდგათა სისწორით განმოსიგებამდ. როცა ხელაფნი რაიმე სხვა სხათი (გარეუქ ქანდაკების) ავარჯიშებს შემოქმედ ფანტაზიას, იგი შებოჭილი არ არის, მას შეუძლია, შთაბეჭდილების განს- ძლიერებად; განვიითაროს, შეასწავოს სიტყე- ბი, სადებებები, ჭანგები; თუცა ასეთი განვითარება სძირად სხათათათა მისთვის... ჩვენ ევე- ლაზე უფრო განვიდრთავთ ამგვარ განვითარება- გასვადების ნაყოფს. ქართველი ხელაფნი იფრ- ად მოკლებულია ეკონომიას ტექნიკურ სფერო- ში, რაიც საშინლად ასუსტებს შთაბეჭდილებას.

მაგრამ ქანდაკება შედარებით უფრო სხა- ლვარ დადებული და შებოჭილია ამ მხრით მა- ქანდაკის სიტყვა, ჭანგები და სადებებები მარ- მარდის ჭრამა დატყვევებული. კარდა ამისა, მუსიკა და ზოეზიან, ასე ვსთქვათ, მოძრავი ხე- ლაფნებას, რომელიც მრავალ მომენტს იმწყე- დებს თავის სფეროში, ხვითარებს და ბუნებრივად გადადის ერთიდან მეორეში. ამიტომ მით თავი-

დანვე თვისი სხაზრევი დაუთმო სტენამ, რო- გორც მოძრავის განვითარების სარკემ.

ამგვარ მოძრავის (გარეგნულად სასულს) მოწყვეტილია ქანდაკება და რამდენიმედ მხატ- ვრობად.

აქ აღებულია ერთი მომენტი სიტაცსდის აზრისა, სინამდვილის ერთი ნაკვთი და ამ მო- მენტში უნდა გაშალოს მოქანდაკემ სინამდვი- ლის მსკლელბა, სიტაცსდის მოძრავა; გაქ- ვაებაში მან მუდმივი აქტიობა უნდა სასწოს.

ქანდაკებაში მან უნდა გაშალოს ტრაველი- ის შიგნითი სასე, ეპოქის ზირთფნების ტრავე- კული იერი, ასე ვსთქვათ, მისი სული. ამიტომ ეს დარგი სხვაზე უფრო სანძელთა და, აღბად, ამის მიხეზი უნდა იყოს, რომ ჩვენში ქანდაკე- ბა სრულიად იფრ- აუდგმულია და მკრთალი.

ერთად-ერთი უურადლების დირსი მოქანდა- კე ჩვენში უნდა იყოს ბ-ნი ი. ნიკოლაძე, მე არ შეუდგებო აქ მის შემოქმედებათა გარჩევას, რადგან ამასე სხეებინ შეჩერებულან. არც ამას გვსება, თუ რა ძნელ ზირთბებში უხდება მას მუშაობა, როგორც ქართველ მოქანდაკეს.

ჩვენთვის საინტერესოა ერთი ძლიერი ნაკვთი მისი შემოქმედებისა, რომელიც ჭერ აღუნიშნავი დარჩა.

მოგასსენებო ზოტ გრ. ორბელიანის ძე- გლის მადელზე. იგი მინიატიურულია თავის თავად და არც ის ვიცი რამდენად დაციუს ამ ტონს და სულისკვეთებას მოქანდაკე თვითონ ძეგლის შექმნისას; მაგრამ ამკარა, რომ მოდე- ლი, მეტი რომ არ ვსთქვათ, შესანიშნავად შე- უსრულება ბ-ნ ნიკოლაძეს. გრ. ორბელიანი დიდი ხნით მაინტერესებდა მე და მისი ბუმბე- რაზი სასე ხანდახან დიად გადამეშლებოდა თვალწინ, როცა მის მკვეთრ, ტყეასტერ მიძიე სეველიანობით დატვირთულ ლექსებს განდგავით- ხაკად; მაგრამ იგი უმაღ ქრებოდა და წვედ- ადს ევარებოდა. მე დეკვიტბდი მას, მაგრამ იგი აწად ჩნდა... და მე ახლას ვიხილე მისი სასე ტრაცსლად აღბეჭდილი.

გრ. ორბელიანი მეტად საინტერესო ზირთ- ვნება უნდა ეოთილიეთ. მე აშკარად წარმოადგე- ბა მთელი მისი ტრაველია, რომელსაც თვისი ტრაცსნური სასე ჩვენ წინ მდირდის მასშტაბით (ორიად ლექსით) გარდაუშლია.

და ის, რაც უნდა ეთქვას და ვერა სთქვას მან,

Handwritten signature: ბ. მან

გეთხრა, ნიკოლაძის მიერ ასახულმა, ორბელიანის ზედა თვალუბმა. ზეცადად და მიძიმედ ზის ფაფარ ზერილი ღობი თვის ტანტუე... ძველ საქართველოს ერთგული შვილი მის დაღვრულ სხეს ნადვლიანად გასცქერის. იგი გრძობს, რომ სამშობლოს ასე დრო უდგება, რომ მისი ადგენა „ორბელიანებს“ აღარ ძალ-უძთ, გრძობს თვის მოხდენებულ ენერჯიის ზედმეტობას და ბრახით ეგება გული. იგი თვისი შუქსავე, მაგრამ ამაყის სისით, ტრეხლოვან ტრემლის ნაკუთვთ თვალუბით გვეუბნება, რომ მადის უნაყოფოდ, უშედეგოდ და ვერ შეეღის, მამა-მამისებრ, თვის დაბრუნდ მამულს. სამშობლომ უარყო მისი გზა. და ღობი კვდება მამან, როცა სსი-ცოცხლო უშრეტო ძალა დრმად ბუფობს მასში რაინდობის მიმქრად დროს დასტირის იგი, მაგრამ იგივე რაინდობა მას ნებას არ აძლევს აღწრულად ტრემლებს გზა მისცეს. და თითქმის გული მისი გაზრდილა, ცაცანიერებულა ამ დაგუბებულ ურუ სვედათ. სადაც დაუსრულებულ სიკრძისკენ გასცქერის მისი თვალუბი და იქ სამშობლოს მიმქრალი დაღება ესტება.

საინტერესოა კიდევ ერთი რამ. მოდელს რამდენით უსვავთ ათვლიერებას ჩემთან ენობა და თვითეული მათგანი სცდილობდა ენობა შესაფერისი ადგილი მოწვევით სმლისათვის, რომელიც მკლანის ფეხებთან კვდო. ვერ მიეგნოთ, სადა მიეკვდებინათ იგი, რომ უფრო მოხდენოდ მოედეს. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, ან როგორ ფაქტობს თვით მოქანდაკე ამ მოწვევით სმლიან-ს შესახებ, მაგრამ მარტო იმან, რომ იგი სმალი მის ფეხებთან კვდო და მკლანის ხელში წიგნი ეურა, მარტო ის, რომ ამ სმლისთვის ადგილი ვერ მოეჩინათ, აშკარად შდის ორბელიანის ტრატედიანს. იგი გვეუბნება, რომ ორბელიანი კარდასულ საქართველოს უძლიერესი შვილია, რომელსაც თვისი რაინდული ასპარეზი დაუსუსს, სმალ-აარდა ავეარეს და ცოცხალი სიკდილს განუშხადეს. მოკვდა ფეხდაღურა საქართველო, წვიდა სმლის დროც და ასე საქართველოს ორბელიანები ავერ მიაღებენ ისე, როგორც ასალი საქართველო ვერ დაიტეეს მო... დღეს ჩვენ ასალი სსიის გმირობა გვეჭირება და ამ გმირობას ორბელიანობა ვერ გასწევს. დაჭრილი ღობიც ამას გრძობს, დროს მსვლელობით სმალი მოწვევითა, უუურადღებოდ დაუგდა და ამაუ ნადვლით შორს გასცქერის ძველ დაღვრულ დაღებას..

„ილოცე, დენის, ილოცე“!

შუა დღე იყო, როდესაც საუნდევრის-ტეტო ანატომიის თეატრის მსახური, ოთხმოცის წლის მოხუცი, დენისი შევიდა თვის ოთახში. აქ კუთხეში მოსვენებული იყო რამდენიმე ხატი; მათ წინ ეკიდა წითელი კანდელი, რომელშიაც, ვინ იცის როდის, ბოლო მოღებოდა ზეთს და სიბნელეში გაეხვია იგინი. ეს სიბნელე ხატებ წინ არ ესია-მოგნა დენის პეტროვიჩს, როგორც უძახილა მას ანატომიის პროფესორი ნიშნად პატივისცემისა. მაშინათვე აღუღდა გონებაში მეცნიერის სიტყვები: „ილსენ სული, დენის, ილოცე“! საჩქაროდ აავსო კანდელი ზეთით, დაანთო, გულმხურავლედ გადიწერა პირჯვარი, ჩამოჯდა აქვე სკამზე და შეუშინველად მიეცა ფიქრებს.

მას თვალ წინ ცოცხლად წარმოუღდა სურათი შორეულ წარსულისა: ჯერ ისევე შუა ხნის ვაჟი იყო, როდესაც დენისს არა სწამდა არც ხატი, არც ჯვარი. ადამიანის ლეში, რომელსაც ჰმედავდა ირგვლივ დიდის ხნის განმავლობაში, გარდაიქცა მისთვის სულ უბრალო საგნად. სწორედ ამ დროის ერთს დილას თეატრის შესავალში ნახეს გრძნობა-მინდელი დენისი. გზა შესავალში მთლად მოფენილი იყო მისი თმებით. მოაბრუნეს, და ამის შემდეგ დენისმა უმბო პროფესორს შემდეგი:

— ოღნავ შექეფიანებული ვიყავი, როდესაც დავბრუნდი თეატრში. მივედი მიცვალეზულეზებთან, ავაყენე და ახლა მათთან ერთად მოვეყვი ქეფს. დასაწყისში მიცვალეზულნი სვამდნენ, როგორც რიგია, შემდეგში კი უჩვენეს ერთმანეთს თვალთ, მომცივდნენ და უწყალოდ გამეწეეს; ამას ხომ თმებიც ამტკიცებენ, — სოქვა დენისმა და თითოთი უჩვენა პროფესორს მოფენილი თმებით გზა.

— ღმერთს გაუტია შენთვის პასუხი ადამიანის დაცინვისათვის; — აუხსნა დენისს გაკვირვებულმა პროფესორმა მომხდარა ამბავი — ილსენ სული, დენის, ილოცე ამის შემდეგ მიინცა!

მივიდა თუ არა დენისი ამ სიტყვებამდის, გამოერკვია ფიქრს, წამოდგა ფეხზე, მოწონებით გადიწერა უბრალო პირჯვარი და გამოვიდა თვის ოთახიდან ბუტ-ბუტით:

— „ილოცე, დენის, ილოცე“!

აკაკი პაპავა

დავ. კილოსანიძე

ქალო საყალო...

რისთვის მოხვედი ამ ქალაქში, ქალო საყალო, — რომ მის ბალებში ვით უაზრომ შენ იწანწალო? ან თუ სხვა გრძნობამ მოგიხიბლა ის ნორჩი გული, დღეს რომ თან დავაქვს დასერილი, დაწყულულებული?!

რომელ ოცნების ტალღას მოჰყვებ, თქვი თუ ლა ვახსოვს? სად შევეყარე სულ პირველად შენს უკეთილისყოფსა? პირველი ცრემლი. სად დავცა? — იქნებ ქვაფენილს, სად მოგაფურთხეს ცხოვრებისგან მიოლად ვაღაფრებულს?..

იფიქრე მაინც, რად წავებრთვა ხმა ნამდილ ქალის, ნაცვლად რად გერგო შენ სახელი დღეს მაწანწალოს?!

მ. ველისციხელი

რას უპაღის ხელოვნებას მოგზავალი

აქამდის მხოლოდ შემოქმედების კარგე არსებულ ზირობებს ვეკუბოდი, გადავიდეთ სელოვანის შინაგან არსებებს. შიშობენ, დროთა ვითარებაში მეტნიერულად განვითარებული გონება სელოვანს დაუსშობს შემოქმედების სამუთავრებს ნიჭიერებას: წარმოდგენას (Боднарские), შემოქმედებითი ინსტიტუტს და გრძნობას. აქ უკვე წმინდა ფსიხოლოგიურ მოვლენებთან გვაქვს საქმე. ამითბენ, იდუმალობას მოკლებული ზოეზია შეუძლებელია (შეადინჯი, შტრაუსი, ვაგნერა); უგრძობორწმუნებობით არ არსებობს ნამდვილი ზოეზია (გიორგი); ზოეტს არ შეუძლია განეყნებული მექანიკური კანონებით განმარტოს ნახულით; ერთაშად ხილული უსაიდუმლოდ გერ მიიხადავს ზოეტის გულისუფროსო. ბინდი, მთავრე და სეროთად ბუნების სხვა იდუმალობით მოცული მოვლენა თუ უგრძობ ვახსნა ზოეტის წინაშე, მაშინ ადგილი ღარ ექნება ზოეზიასო. თუ უერთგვარი წინადადებით მიმართავ ვიტოისნ მანდი-

ლოსსან და მოხარული ხარ, როდესაც მისგან ვიუტობასა და მიუკარებლობას იხილავ, კერძოდ იხარის ზოეტი, როდესაც ბუნება ძნელად გამტვირვლავ სახურავით მოსაყს თვის მიმზიდველ მოვლენებსო. მაგრამ „ზოეზია მეტნიერებასთან ერთად ამხსნელია ქვეყნისა, ხოლო ახსნა მეტნიერული ვერ ვადმოგვცემს ფარულ ახრს და მნიშვნელობას სავანისს; ეს მხოლოდ ზოეტურ განმარტებას ძალუძს, რადგან მეტნიერნი მიჰმართვენ მხოლოდ განსახდურულ ნიჭიერებათ და მხედველობაში არა ჰყავთ სრულიად ადამიანი... ადამიანის გული კი უადრესი ნაწილია ქვეყნისა და მისა და ვარეშე სავანათ შორის უნდა აუცილებლად არსებობდეს ჰარმონია; ხოლო ზოეტი, რომელიც შეიმინობს ამ ჰარმონიას, არა ნაკლებ მეტნიერისა უახლოვდება სინამდვილესა (მ. ანდოლი). რაც უნდა ფართო განმარტება მოგვცეს მეტნიერებაში ბუნების მოვლენებისა, იგინი არსოდეს დაჰკარგვენ თვის მიმზიდველ და მიმზიდველ თვისებათ. ცნობილი ასტრონომი ფლამანიათი ერთ თვის შრომაში ამბობს:*) როდესაც უნდა დიდი უღრმესი სანახაობათ, ჰვენ არ ძალგვიძს რაიმე ცნული საქმის ჩადენა და არ გვესმის, თუ როგორ შეუძლიათ ჰკვიან არსებობთ ერთი-მეორის უღრმეს და წამება სარწმუნოებრივი განსხვავებისა და ტომათ ურთი-ერთ შორის სიძულვილის გამო“. და რადგან უფრო ახლოს შეიმინობს ზოეტის ნაზი მხატვრული ადგილი ამ სიდიადეს! შეიმინობს და ჰვენც ვეზიანობებს მას! ვარდა ამისა, მისწრაფება იდუმალსა და უნებობისადმი უველა ადამიანშია დრმად შთანიერგაიო. არსებობს ქვეყნა მეტათეოპიკური, განუტვრეტელ სიადუმლოებით მოცული — (საკითხები სულის უკვდავებისა, ღვთაებისა და სიცოცხლის დანაშრულების შესახებ), სადაც უძღური მეტნიერული კვლევა-ძიება და სადაც განსხვავებულად მეტველებს მხატვრული შემოქმედება... ნამდვილი მხატვარი თვის მეტნიერულ კანონებშიც იმოყვინს ზოეზიისათვის საჭიროსავეებს. უდიდესი მეტნიერნი: დარვინი, უორუჰენკრტ-ილერი, ზოეტი გიორგი თითქოს კადეც ამართლებდნენ ბერძნების და ინდოელების ლეგენებს მეტამორფოზისა და ცოცხალ არსება-

იხ. „Звѣздное небо“, შესავალი.

თა ცვლილების შესახებ. ბუნებასთან ღამიანის რაღაც ნათესაური დამოკიდებულება სუბტოვოდ გამოგვეჩვენოს ინდოეთის დიდებულმა პოეტებმა; ინდოეთის ერთ ეპოპეაში ასეთ ძვირფას შედარებას იხატავთ: „შეხედ ამ მოქნილ სურსის იგი სიყვარულით მოხვევათ ხის ძაღვთან დეროს, ისე, როგორც შენ, ძვირფასო სიტა, მოქნილულობის დროს დაეუდნობი ჩემს მხარს“.

საერთოდ არავითარი სპეციფიკა არა გვაქვს, ვითქვამთ, რომ მეტრიკულად განვითარებული გონება ხელს შეუწყობს ხელოვნების დაქვეითებას, რადგან ღამიანის სულიერი ცხოვრების განვითარება სულ სხვას გვითვალისწინებს.

ის გარემოება, რომ მე-16-ე საუკუნის განათლებულ ინგლისში შექსპირი დაიბადა და დღეს კი შექსპირება აღარ გვყავს, სრულიადაც არ ამტკიცებს ზემოთქმულ

ეჭვის საფუძვლიანობას. შექსპირის დროს ინგლისში იმ წრე, რომელშიაც შესაძლებელი იყო შექსპირის წარმოშობა, ვსთქვათ ახი-ახი-სობით განისაზღვრებოდა, დღეს კი მილიონობით. და ამ მილიონთა სინოცხლე უკვე გამსჭვალულია ცხოვრების იმ შეგნებით, რომელიც დიდებულმა მწერალმა გვიანდერა. ეს შეგნება კი ხელოვნების იმ ცენტრალ ძაფთან მიერ შეიქმნილი ცხოვრებაა, რომელსაც ვერ დაჩრდილავს ვერც მეტრიკულ და ვერც ხელოვნება. ხოლო შექსპირის მიერ შექმნილ დიდებულ ნაწარმოებთა შეგნებული გავრცელება ეს იმ ნიადაგის შემზადებაა, რომელშიაც ვითარდება მსატრეული მსოფლმხედველობა და რომელიც სარწმუნო თავადებაა ახალ მსატრეულ ღირებულებათა მოვლენებისა.*)

ალ. წერეთელი

ც ხ რ ვ რ ა ბ ა

(იხ. „თ.“ და ც. 4 № 25)

III

იგონივე, სესია.

გიორ. (რა შეამჩნევს შემოსულს სესიას) გამარჯობა სესია.

სეს. გამარჯვება ნუ მოაკლოს წმინდა გივარამი ჩვენს ნათლია მამასა და ექიმს გივარგისა.

მამა. აქეთ დაჯექი, ჩემო სესია. ჯალაბობა ხომ კარგადა გყავს?

სეს. კარგადა, შენი კვენსამე.

გიორ. ხაბარია რისთვის გარჯილობარ.

სეს. რისთვისა, შენი კვენსამე, და უნდა ვამხილო შენი ძმა.

მამა. ვანო?..

სეს. ვანი, შენი კვენსამე! ჩვენს ქალებში უზნეოდ უჭირავს თავი; ჩვენს ვაჟებს ეს არ მოსწონთ და მეშინის სისხლი დაიდვრების, შენი კვენსამე, ი ნუნუს ამბავიც აშფოთებს; თუ არ შენი პატივი...

გიორ. კარგი, კარგი, ჩემო სესი, ხელიდან ის აქ აღარ იქნება... დიდებამომო! მოუშვადევით ყოველივე, ის ხვალ წავა... (ყვანოს დიდისი მოამისის რეფლექტის კილოზე)

აგერ... მე წავალ, დიდებო, ემანდ საფოსტო სადგურზე, შენ კი მოელაპარაკე ვანოსა...

სეს. შედილობით, ნათლია, შენი კვენსამე. (გაუფრ)

IV

მამა, ვანო

მამა. (თვალს გადაგვებს გიორგის) ვი, შენ, ჩემო თავო?! დაღუპული ოჯახო!.. ერთი, ვისვანაც იმედი მქონდა აქ ცხოვრებისა, სხვის საბუღარზე ზის.. მეორე...

ვანო. რამ დავაღონა, დიდებამომო!.. ცხოვრებაში დასაღონი არა არის რა. ხომ გაგიგონია: (დამღერის) სანამ მოცხალ ვარ ვიხარებ, ვახარებ ჩემს იასა, მოვკვდები გაუხარდება სამარის კარსა ქიასა...“ ეს არის ჩვენი ცხოვრება! აღამიანმა რაც შეიძლება, ცხოვრებაში უნდა ვახიაროს და მოკვამოს ისე, რომ სანატრელი არა დარჩეს რა.

მამა. სწყვიტოს ვარდი! დასუნთქოს,

* **შეცდომის განწორკება:** გასული კვირის (25) ნომერში ამ წერილის ბოლოდან მესამე პუნქტში დაბეჭდილია: „ფასი იქნება“, უნდა იყოს—„ეს იქნება“, და სხ.



ივ. სარაჯიშვილი

(გადანჩენაღი. ის. „თ. და ტ.“ № 24)
ათი წელი — ხულ ერთს ვმღერი,
მძულს ახალი, მიყვარს ძველი...



ნიკო გოცირიძე

...„ხორთ იამუ ზნაი!.. ვისაც სტენაზე
სიარული და სმის ამოღება ვაქვადღო, ეგვლა
დიდ თრიათში გაქაქა!.. მოდი და ვირი ტაღა-
სიდან ამოიყვანე!..

დამკენარ-დასუნთქული მოისროლოს ვით
უვარგისი...

ვანო. მაშა, დიდელაჩემო! ვარდი იმისთვის
იშლება, რომ ვყნოსოთ და. .

მაია. უსირცხვილო! როგორც ნუნუ
განა?! ის არა კმარა და... არა, როდემდის;
როდემდის უნდა არცხვირო შენი ოჯახი?
როდემდის უნდა აძრწუნო მამის საფლავი?!

ვანო. მოიცა, მოიცა დიდელაჩემო! შენ
რატომ ეგერ მოუკრეფავებში დასლიხარ?..

მაია. (გაფლუნით) ხმა, შე უნამუსო!..

ვანო. (მოღბიდეგბუდი) კარგია, კარგი,
დიდელაჩემო!.. აბა, რას ჯავრობ?..

მაია. იცი მაგ უნამუსობით რა მოგივა?
არ გეყო ერთი კოღვა?! საბრალო ნუნუ
თავის მოწამელამდე მიიყვანე...

ვანო. ღმერთმანი, დიდელაჩემო!...
ღმერთს გეფიცები...

მაია. ხმა! ღმერთს რა ხელი აქვს შენს
საქმესანა, რომ იხსენიებ? განა გრწამს, რომ
ღმერთს ფიცულობ?!
ვანო. ღმერთმანი, დიდელა-ჩემო! გეფი-
ცები...

V

იგაფე, გიორგი.

გიორ. (მკაცრად ვაჩაზე) რა იყო, დი-
დელაჩემო, რას გეფიცება?

მაია. ძალიანა-ცი სწამს ამისმა სიცო ხ-
ლემბა...

გიორ. ჩვენ თუშე დედით სხვა, მამით
მაინც ძმანი ვართ და უნდა გვგანდეთ ერთ-
მანეთს რამეში თუ არა?

ვანო. ხშირად ღვილი ძმანიც არ ემს-
გავსებიან ცხოვრებაში ერთმანეთს.

გიორ. ჰო, მაგრამ მამისა უნდა გამოგ-
ყოლოდა რამე თუ არა ცხოვრებაში?

მაია ეგ ზედ გამოკორილი დედაა...

გიორ. მოითმინე, დიდელაჩემო!.. შარ-
შან,—მე არ ვამბობ რამდენად დანაშავე ხარ
საბრალო ნუნუსთანა, ეგ შენმა სინიღისმა
ზღოს,— ისეთი საქმე დაგემართა, რომ ორივე
კარგათა ვგრძნობთ, რა ჩირქი მოგვეცხო...


ვანო. თუ დანაშაულობაა, შე უნდა
მომეცხოს ის ჩირქი, შენ აქ რა შუაში ხარ?

მაია. ოჯახს, რომ ჩირქი მოეცხო?!.

გიორ. შენ, ვანო როგორც გინდა, ისე
უყურე პირადათ შენს ღირსებას... ხოლო,
როდესაც შეეხება ჩვენს საერთო ოჯახს, რო-
მელიც მამამ წმინდად, უმწიკვლოდ, შეუბღა-
ლაველ დაგვიტოვა; იმ მამამ, რომელსაც მე
წმინდათა ვსახვ ჩემს ხსოვნაში, ნებას არ
მოგცემ შენის მოქმედებით შებღალდო და
მით ჩემს პატიოსნებასა და სიამაყეს ჩირქი
მოსცხო.

ვანო. მაინც არ მესმის, მე თუ
რასმე ვჩადივარ, შე რა განაღვლებს?

გიორ. დღეს სოფელში ის აზრი ტრია-
ლებს, რომ ნუნუმ შენის მიზეზით მოიწამლა



შუა თაობის მსახიობნი

სეკიდან: 1, შალვა დადიანი, 2, ჯგ. აწუშრელი (გაშურელიძე), 3, ალ. აზაბიძე და 4, გ. ბალახჩივაძე.

თავი, იმისი დედ-მამა, მისი მოკეთენი, მათი მეზობელნი ამაში დარწმუნებულნი არიან, თუმცა ხელთ ამის საბუთი არ აქვთ, მაგრამ სოფლის ხმა—ხმაა ერისა. ამაში შეც დამნა-შავედა მთვლიან ვით ძმასა და შენზე უფროსსა.

ვანო (მხრების ჩეჩეთი) მე ..

გიორ. არას გვეუბნებთან, მაგრამ გვერი-დებთან; ჩვენს ოჯახს დაცინვით იხსენიებენ: «სწავლული ოჯახია». ნუნუს მოკეთენი გვერდს უხვევენ ჩვენს ოჯახს და ზიზით იხ-სენიებენ, ვით არა წმინდასა. სასოფლო საქ-მიანობის დროს პირდაპირ მაგონებენ: «ძნე-ლია ნღობა სწავლულებისათა...»

ვანო. არ ვიცი, ღმერთმანი! ჩემი ბრა-ლია რომ მას ვუყვარდი? მეც... მეც აღამი-ანი ვარ...

მაია. აღამიანი კი არა—მხეცი...

გიორ. მოითმინეთ, დიდელა-ჩემო! შენ რო საბუთი არ მიგეცა, ის გულშიაც ვერ გაიტარებდა... და სწორედ ამიტომ მართალნი არიან მისი მოკეთენი, რომ ამბობენ: «თუ თავი შაყვარა—უნდა შაერთო კი-დეცაოა...»

ვანო. ჰა, ჰა, ჰა, ეგლა მკვლდა...

გიორ. როგორ! აზნაურს, მას-თან ნასწავლს, ვანა?!? მე რე დე-გავიწყდება, რომ კეთილშობილება და განათლება თვითვე უნდა დაი-ცვას და მის ღირსებას არა წასცხო-რა! ვინ უნდა დაფასოს შენი კე-თილშობილება და განათლება, თუ არ ხალხმა?.. თუ გგონია, გლახი ქალის შერთვით ღირსება ჩამომე-რთმევიაო, რატომ მაშინ არ ითვალის-წინებდი, როცა ვარსიყობიდი რატომ არ ფიქრობდი შენს დამცირებაზე მაშინ, როდესაც გლახის ქალს ნუ-ნუს ვაღიერებდი?... სად არის შენი სიამაყე, შენი სილიაღე, შენი ზიზლი, როდესაც შენი ვნებათა-ღელვა, მხეცური სურვილი...

ვანო (გაწუწუტინებს) ეს ხომ თან-დაყოლილი, ბუნებრივი მოთხოვნი-ლებია...

გიორ. მაგრამ ბუნებამ თან გონებაც მოგვცა...

მაია. დაანებე თავი, შვილო გიორგი! იმას, რომელსაც ქალის უმანკობა ყნოსვის სანაცვლოდ მიაჩნია, ვანა შასმენ რასმეს? მე და გიორგიმ გადავწყვიტეთ კიდევ და ხვალ-ვე წახვალ...

ვანო. ძალიან კარგი! მე მაინც ვაპირებ-დი. რა თქმა უნდა...

გიორ. რაც საქირთა, იმასაც მოგცემ.

ვანო. აი, ეგ ყველაზე უკეთესი...

VI

ვანო, კონა.

კონა (შემოდის სულში ყვავილების კაჩით)

ვანო. აა, კონა!.. აი, ყვავილთა კონაა დასაყნოსი?..

კონა. უკაცრავად, შენთვის არ გახლავს...

ვანო. მაშ, ვისთვის?... იქნება გიორგი-სათვის?..

კონა. გრცხვენოდეს...

ვანო. მაშ, ჩემთვის .. მე მაინც ხვალ მივიღიარ...

კონა. გზა!.. (ვანო ჩამოეცდება, კონა შე-დის სსხლში) მე...

ვანო. აი, ნამდვილი ველური...

VII

ვანო, დათია

დათია. (რა შემოვა და ვანო აზრ ამხსნევს, კომპლს დაჭკრავს)

ვანო (შოხელება) შენ, დათია?!

დათ. მე, აბაი, ვინ იქნებოდა...

ვანო. რა გინდა? ჩემი ძმა ხომ არ გინდა?

დათ. აბაი, შენი ძმა რაში მენდომების, მე შენ მიწინაბარ...

ვანო. მე გინდივარ? მერე რა საქმე გაქვს...

დათ. რაიცა მინდა — განა შენა არა იცი?

ვანო. არა, არ ვიცი?..

დათ. ეხლავე უნდა გამომიძღვე

ვანო. გამოგიძღვე? მერე სადა?

დათ. სანინოშია, სსაფლაოზე.

ვანო. მერე და სსაფლაოზე რა მინდა?

დათ. ნუნუს სსაფლაოზედა.

ვანო. ნუნუს სსაფლაოზედ?... მერე იქ რა მინდა?..

დათ. იქ მე და შენ გაეწორდებით.

ვანო. რა მაქვს შენთან ვასწორებელი? მე შენი არა მმართებს რა...

დათ. ნუნუი ჩემი დანიშნულია... ვინც იგი მოატყუა, პასუხიც უნდა მივოს...

ვანო. ღმერთს გეფიცები მე არ მომიტყუებია...

დათ. (გაკვირვებულა) აბაი, შენი ქირიმე, ღმერთო! ღმერთსა ფიცულობს...

ვანო. კიდევ გეფიცები...

დათ. შენ რომ ღმერთი გეწამა, ნუნუს წაბილწამდი?

ვანო. როგორ მიბედავ?

დათ. კნავილი კატის საქმეა... თუ ვაფი ხარ, უნდა წამომყვე და გამისწორდე.

ვანო. ვისა? შენ, ვილაღ ველურს? მეც-ხვარეს?!

დათ. ვაი, ბეჩავ ჩვენს ცხოვრებას...

VIII

აგინიევი, გიორგი.

გიორ. (გამოვა, რა შეამჩნევს დათიას) დათია?! აქ რას აკეთებ? ცხვარი ვილას დაუტოვე?

დათ. ცხორსა, შენი კვენსამე, ძალღები მაინც უღგანან... მგლებს ისინი იფერიებენ... ხოლო ჩვენი ქალების ნამუსსა-ლა ნასწავლნი არად ავღებენ, შენი კვენსამე!.. ჩვენ 'ეცხვარები როს ვიცავთ, ველურებად გვისხენიებენ...

გიორ. (ვანოს მკაცრად შეხედავს) რა იყო, რა მოხდა?!

დათ. (პატარა ხნის შექმდე) აი, შენი კვენსამე, რა მოხდა... შარშან ქვემოურმა მურღალმა ჩვენაური ქალაი მოიტაცა... ქალაი ახმალღა, რა ვაფი არაი უყვარღა, და მე გამოვტაცე: ქვემოური ვაფი დავჭერი... ამაზე, შენი კვენსამე, ჩინოვნიკება სამი თვე ცხეე გადამიწყვიტეს... ამას ვეუბნებოდი, შენი კვენსამე, შენს ძმას: რუსებმა ესეთი კანონი რათ შემოიტანესთქო, და ამისათვის ველური მიწოღა... მაგრამ კიდევ შეგვხვდები, შენი კვენსამე, და შენ-კი აღარ შეგაწუხებ...

IX

გიორგი, ვანო.

გიორ. (რა გაფა დათა) გესმის?!. როგორ გგონია, რომელია ველური: ევა თუ შენ?!. (შოისმის სსუფინის სმა დიდაფანისს) დილიჟანი...

X

მაია, კონა, გიორგი, ვანო, კატო, კონდუქტორი და ორი ბიჭი

კატო. აქა სღვას გიორგი გაშენაქე ექიმი?..

გიორ. (გაფა) აქა, აქა...

კატო. (შეშოიჭრება) გამარჯობა...

გიორ. (ხელზე ჰკოტნის) გავიმარჯოს კატო!..

კატო. თუ კატოს მეძახი... ვგონებ კოტნის ღირსიცა ვარ, მაგრამ მესმის... ჯერ ხომ ჩვენ... აბა გაზაცანი

გიორ. ჩემი დიდედა; ეს მისი ნათლული კონა...

ვანო. (რა არ გააჩნობს გიორგი და კატო კი შეხედავს) მე... ვანო ვაშენაძე...

გიორ. ჩემი ძმა ..

კატო. მომწონს... აი, გიორგი, ეს შენზე გაბედულია... ჰო, მართლა, სწორედ ვითხრა, გიორგი ძალიან, ნასიამოვნები ვარ ამ გზითა, ეს მთები არწივად მხდის ..

მაია. არწივმა, შვილო, ფრთა გაშალა, მით მზე დაჩრდილა... წარსული დაუბნელდათ; და მომავალიც დაუსწრებლად...

კატო. და მერე ვისა, დიდედა!

მაია. ვის მხარესაც მზე დაიჩრდილა ..

ვანო. იქ საჭიროა ელექტრონის შეტანა...

კატო. რომ სინათლე მოეფინოს.

გიორ. მისი სინათლე თვალსა სკრის და მხედველობას ასწრებებს.

მაია. ელექტრონი, შვილო, ჩემს თვალს არ უხილია. მაგრამ სინათლე-კი საჭიროა (შკაჭრად შეხედავს ვანოს), რომ გამოიხედვს...

გიორ. აი, კატო! იქონიე მხედველობაში, რომ დიდედაჩემი ჩვენს ოჯახის ბურჯია...

კატო.სასიამოვნოა!.. მე საშინლად მომწონან...

მაია. ბურჯი, ხოლო ძირ-მომპალი, რასაც გამოცვლა სჭირია... აი,ემ ჩემს გიორგის ვეუბნები: ისეთი რძალი მომგვარე, რომელიც ოჯახს ახალ ბურჯად შეედგმის და შიგ მომავალ გმირებს აღმიზრდის...

კატო. მე მართლაც მომწონან: ლამაზი, ჯან-სალი ბამშეები... აი, როგორებიც...

ვანო. აქ დაზრდილები არიან...

კატო. (ვერ მიუხედავს) გიორგი-კი ვანოს უკმაყოფილოდ შეხედავს) მართლაც, ყველა სიცოცხლით სავსენი არიან.

მაია. ეგ მშობლებზეა დამოკიდებული... ნათქვამია შვილო: „ერთგული კრუხი არც ერთს გააციებს...“

XI

აგინივე, **სესია.**

სესია. არიქა, გიორგი, შენი კენესამე! მოხებარე დაქრილებს...

მაია. ვინ დაქრილებს...

გიორ. რა მოხდა! ვინ დასქრეს?...

სესია. ცხორის იტაცებდნენ... მეცხვარეები დაიქრნენ...

კატო. ვინ იტაცებდა, მგელი?..

გიორ. მტერი დაგეცათ?

სესია. მტერი, შენი კენესამე. მტერი! კეთილი მდომი, აბა რას გვერჩის...

გიორ. ბევრია დაქრილი?

სესია. ოთხი ჩვენია...

გიორ. დიდედა, ჩანთა! კონა ქული!.. იმათ მხრივ?..

სესია. ერთია, შენი კენესამე...

გიორ. ნაცვალს შეატყობინეთ?

სესია. შევატყობინეთ, აბაი რას ვიხემალით... მაგრამა რა გამოვა... თუ არ შენა, შენი კენესამე, პრისტავი მაინც ჩვენ დაგვდებს ბრალს...

გიორ. დიდედა-ჩემო აბა შენ იცი... წავიდეთ სესია...

მაია. გზა მშვიდობისა, შვილო!.. არხეინად იყავი...

ფარდა



(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლადო აღნიაშვილი

(იხ. „თ. და ც.“ № 25)

დადგა სექტემბერი. სკოლაში სწავლა დაიწყო. საერთო საქმე, ერთად შრომამ და ერთმანეთის ხასიათის გაცნობამ თანდათან ყველანი უფრო დავაახლოვა—ისე დავაახლოვა, რომ ნასადღევსაც-კი ერთმანეთის უნახაობას ვეღარ ვიტანდით. იშვიათი საღამო იქნებოდა, რომ ყველას „ჩვენ ნიკოსთან“ თავი არ მოგვეყარა და პატარა პანსიონერები არ დაგვეთვადიერებინა (მაშინ მხოლოდ დაბალი კლასები იყო). მაგრამ კაცი თითქმის გადაჭრით ვერ იტყვის—რა უფრო მეტად გვიზიდავდა: ნიკო ლომოურის მომხიბლავი დამოკიდებულება, ჩვენთვის ახალი საქმე თუ ერთმანეთისადმი ძმური განწყობილება. მთელი ატმოსფერო სკოლაში ისეთი

იღვა, ჩემის შეხედულობით, რომ ყველა ჩვენთაგანში იწვევდა ერთნაირს გრძობას, ერთნაირს ფიქს, ერთნაირს აღფრთოვანებას და ხალისს შრომისა და მეცადინეობისა არა მარტო სკოლის ზღუდვითა შორის, არამედ მათ გარეშეც.

მაგრამ მეტად განსხვავებული და თავისებური იყო აღფრთოვანება ახალგაზდა ლალა აღნიაშვილისა.

— ემაწვილებო, თუ მოიცლით, საღამო ხან ჩემკენ შემოისიერთ, — გვეტყუოდა ხოლმე ახანაგებს განსვენებული ლალა ნამეტანის მოწიწებით და თავაზიანობით, — თითო ჭიკა ჩაის მოგართმევთ და ერთ მცირე რაზედმე გესაუბრებით: თქვენი აზრი მინდა შევიტყო ერთ საგანზე.

ჩვენც ხშირად ვუსრულებდით სურვილს. ეკრიბებოდით მის ბინაზე და ვუსმენდით საუბარს. გაოცებული ვიყავით მის ფანტაზიით. მის ლაპარაკს მუდამ ოპტიმისტური ელფერი ჰქონდა; საზოგადო საქმე სათავაზრებულ კერადად ჰქონდა გამხდარი; კერძო ინტერესი, საკუთარი ჭირ-ვარამი მისთვის არ არსებობდა. ქართული სკოლა, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, ქართული ისტორია, ქართული ვალობა-სიმღერა, ხალხური ზეპირ-სიტყვიერება, ქართული დაწესებულებანი — აი ის საგნები, რომეოთა ფარგალშიც ტრიალებდა მუდამ მისი ფანტაზია და მსჯელობა.

ყოველ საქმეს ფანატური გატაცებით ეპყრობოდა; არ იცოდა, რას ჰქვიან დაბრკოლება. თუ რასმე განიზრახავდა, კიდევ სისრულეში მოიყვანდა. არც ერთს საქმისთვის არ ჰზოგავდა თავის ჯიბეს, თუმცა არას დროს საკმარისი ჯამაგირი არ ჰქონია. მისის აზრით ქართველ ბავშვებს ესაქიროებოდათ რუსული ენის შესასწავლად აღვილი სახელმძღვანელო; ამიტომ შეადგინა და გამოსცა (Первый шагъ). მან თითქმის პირველმა მიაქცია ყურადღება ქართულ ხალხურ ზეპირ სიტყვიერების ნაწარმოებთა შეგროვებას. ამისთვის დაბეჭდა გაზეთებში მოწოდება სოფლის ინტელიგენციისადმი, რომელსაც სთხოვდა ჩაეწერა და მოეწოდებინა

ხალხში გაგონილი ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, ლეგენდები და სხ. რისთვისაც ჰპირდებოდა ფულით დაჯილდოებას. ამ მოწოდების და ხარჯის გაღების ნაყოფია მისი მჭირ გამოცემული ჩინებული „ზღაპრების კრებული“. მანვე განიზრახა „ანბანის“ სახელით გამოეცა ქართველ ბავშვთათვის ოჯახსა და სკოლაში სახმარებელი ენციკლოპედია პატარ-პატარა წიგნაკებად რიცხვით იმდონი, რამდონიც ქართულ ანბანში ასოა. შეუდგა და ერთი მესამედი წიგნაკების მშვენიერად დასურათებული, საუკეთესო ქალღმრთელ დაბეჭდილი კიდევ გამოსცა, მაგრამ, საზედელუროდ, შრომის დამთავრება აღარ დასცალდა.

ალ. მირიანაშვილი

(დასასრულა შემდეგ ნომერში)

მზრუნავი ღვთაება

(ესკიზი)

ესი კამარა პირქუშობდა... ან ჩხლობდა... კაპასობდა...

ჩაკუპრულ-ჩაშავებულ ღრუბლებისაგან პირბადე გაეკეთებინა და ერთი მძეუტავი ვარსკვლავიც-ი არ გამოეშო, არ გამოეკრთო დედა-მიწის გასანათებლად, გასახარებლად.

ესი თალს პირი დუკან გაგებრუნებინა, თითქოს მოსწყინდა დედამიწის ყურის გღვება და ლოლიაობაო, და რაც ძალ-ღონე შესწყევდა, ილტვოდა მისგან.

დედამიწაზე ზნელოდა... წყვილი და უკუნეთი გაიმეფებულიყო... ყველგან ჯანყი... ბურუსი...

ბორბოტს ღმერთს, ქვესკნელთან ერთად, ეს ქვეყანაც დარჩნოდა და ახლო იგი მოურიდებლად დაჰპატრონებოდა მას, რადგანაც მოწინააღმდეგეს და რაყიფს არავისა ჰხედავდა.

— ხა... ხა... ხა... ხა... ადამიანო... ადამიანო... — ხითხითებდა გულ-სკულავად, გულის დამსერ-დამღრღნელად არიმანი და ბოროტნი სულნი, მონანი მისნი, მიწაზე ხოხვით, გველის სისინით, ბანს ეუბნებოდნენ.

დღესასწაულობდა ჯოჯოხეთით... ქვეყანა და მასთან ერთად ადამის ძე მის ტლანქსა და მოუხეშავს კლანქებში იყო.

ქვესკნელი ზეიმს იხდიდა...

მაღლა, ცაში, კიდევ ორმოზდს სამელო-ბელო ტახტი უკუღმა დაედგა; ზურგი დედა-მიწისათვის შეექცია და უფრო იქით... მაღლა,

ზევით გაიყურებოდა და სცილიობდა კაეშანი ცის ეთერში გაექარვებინა. .

დადარღინებულიყო მწყალობელი და მის სამფლობელო ქმუნეასა და ურვას წაელო.

მზეს და მთვარეს ნიშან-წყალი დაჰქარგოდათ და იქვე კუთხეში მიმქრალ-მილულულიყვნენ.

აპოლონის ქნარს სიმები დასწყვეტოდა. ორმუხდის სახე, ღიმილის ნაცვლად. მოლუშულ-დანაოქებულიყო. ის დედამიწისათვის აღარ ჰფიქრობდა..

ეტყობოდა, მთლად დავიწყებოდა ძირს ქვეყანა და იქ მცხოვრები—ადამიწვიდი!..

—ოჰ!.. ადამიანო.. ადამისა ძევი!..

მოსთქვამდა ორმუხდი და ანგელოზ-ფერიები მკენესარ ხმებს აქანავებდნენ, ამუსიკებდნენ.

ადამიანმა გაარისხა ორმუხდი.

მან გასტეხა ღვთაებრივი სიყვარული, მან დაჰგმო კეთილი ღმერთი. მან სული ანაცვალა ხორცს..

ამისთვისაც გააფთრებულ-გაცეცხლებულიყო კეთილი ღვთაება და ადამის შვილი წყვილიადმი დაეტოვებინა, სიბნელით მოეცვა მისი საცხოვრებელი, მისი ქვეყანა ..

ბოროტებასაც მალე დაესვა ადამიანთათვის თვის მფლობელობის დალი: გამქრალიყო ქრისტეს მკნება, დამარხულიყო სიყვარულსიხარული..

ადამიანის გული (ივი იყო ვით საფლავი...)

არიმანს ყველაფერი დაესუნთქ-დაეშხამა, ყველაფერი დაეშანთ-დაეღარა.

ანტიქრისტე ფარფაშობდა ამ ქვეყანაზე...

შურით, მტრობით, ანგარებით, სიძვით და უსამართლობათ გაჟღერთილიყო ადამის შვილი.

ყველგან სისხლი .. კენესა. . გოდება და ვარამი. .

ყველგან წყვილიდი გულშესაზარი...

მაგრამ დროთა სრბოლამ თვისი გაიჭანა...

გავიდა ხანი და ადამიანც გამოიკვალა ორმუხდიც მორბილდა... კაეშანი და ქმუნვა გაუქარწყულდა. .

ჯერ ცის ტატრობიდან მზე ამაცურა, მთვარე გასათხოვარ ღამას ქალივით გააბღარა. . გამოიკრთნენ მოციანე ვარსკვლავნი,

ხომლი თვის ალაგას გამოიკმეიძა, ცახე სამოთხის გზა ნათლად გამოიხატა, აჟღერდა აპოლონის ქნარი სიყვარულის ჰანგებზე. ვენერამ ცივრიგი შეჰქმნა, ბუნებამ პირზე ღიმი მიიკიდა.

მოიხედა ორმუხდმა დედამიწისაკენ და სახე გაეშალა, გაეშალა, მაგრამ კი აღარ გაბრწყინებია, ვინაიდან ადამიანში ბოროტის სულის ბატონობის ნაშთი დანახა: მას გულში საზოზღარი მატლი ჩასახოდა, რომელიც აქეზებდა ყოველ ბოროტებისა და საზოზღრობის ჩასადენად.

ორმუხდმა არ ისასოწარკვეთილა, სასოების ნაპერწყალი გააღვივა, რომლის ნაყოფიც დედამიწაზე არიმანის სახელის მთლიანი აღგვა და ადამის ძის გაბრწყინებება და განსპეტაკება იყო.

მაგრამ ადამის შვილი წმინდად მიიწვიერ განსპეტაკებულა, მატლი მატლად დარჩა და მისმა კერძმაც თვლი ვერასგზით ვერ გაახილა.

მართალია, ორმუხდის ნაწილნი ხშირად ევლინებოდნენ ადამიანს განსაწმინდავებლად, მაგრამ ათასში ერთი წმინდად გაბრწყინებულთ თუ აპყვებოდა მით ზეითყენა და ცხრასს ოთხმოცდა ცხრამეტი-კი ნავთ-ცეცხლში ცვიოდა...

ამის შემდეგ ორმუხდმა გონება მოიხმარა: გაანათლა ადამის ძე გარეგნულად, ისე რომ მატლი თავის აჩრდილად-ლა აქცია და ესე გარეგნულად განსპეტაკებული თვის მონაწილე იტაცა ზევით, ცაში, თვის სამფობელოში

...და მხოლოდ ამით მიაღწია თვის მიანს...

შავი დედმიწა კი ისევ ზავს ღმერთს დაულოცა-დაუნარჩუნა.

არჩილ მექანარიშვილი

დედის მკვლელი

(მოთხრობა)

ზაფხულის მშვენიერი დამე ერთ წამს საშინლად მოპირქეშდა: ცახე შავი მუქის ოდენა ღრუბელი ბუმბერაზად გადაიქცა და, სივრცეში გაფანტულმა ისეთნაირად ჩამოაღამა, რომ თვალში მიტანილ თითს ვერ დინახავდით. უცებ ასტყდა სახარელი ქექაქუხილი, წამოვიდა კოკისპირული წვიმა და ნიაღვარმა მთელი არემ-მარე წალეკა. პატარა რუ-არხები ღილ მდინარეებდ იქნენ და,

თითქო წარდენაო, ერთის ხმაურობით და შხუილ-ხუილით იწყეს დენა. ამ არეულ და საშინელ ღამეში, დაკვირვებით თუ მიაპრობდით ყურს, სოფელ მ--რის შესახვევთან, ორლობეში, თქვენ გაიგონებდით რ-ლაც უცნაურს და გულის დამაღონებელ ხმას, რომელიც პირველად კაცის ხმას მოგაგონებდათ, მაგრამ კარგად რო დაჰკვირვებით, მიხვედბოდით, რომ ეს ხმა ძაღლის ხმა იყო. ძაღლი ორლობეში მდებარე დედა-კაცის უსულო ცივ გავს ჰგლოვობდა თვალზე ცრემლმორეული და გულ-შემაძრწუნებელ ღამეს უფრო ასახარებდა თავის კმუილით.

ვისა გლოვობდა ძაღლი?



ხევის ჩავარდნილი სიღრმეში, სადაც საშინელ წყვიდადს თვალი ძლივს ჩასწვდებოდა, ყაჩაღთა ბრობოს კლდის ერთ-ერთ გამოქვაბულში ბინა ჰქონდა აჩენილი: აქ რმაღებოდნენ ისინი დღისით, აქ მოილაპარაკებდნენ ხილმე, ვის საღ დახვედროდნენ, რა მხრით დასცემოდნენ, რა დროს და როგორ. აქა სწყდებოდა ბევრი სვე-ბენდიერის სიკვდილ-სიცოცხლე. აქ მოჰქონდა ნაძარცვ-წანართმევი. აქ იყოფდნენ და ინახავდნენ.



ღამე იყო. გამოქვაბულში ერთ ადგილს, საიდანაც სინათლე გარედ ვერ გავიდა, კრაქი იღვა და მკრთოდ ბუტუტად კრაქს აქეთ-იქეთ შემოსხდომდნენ ყაჩაღები, თოფიარაღში გამოწყობილნი და გამოქვაბულის შემოსავლისკენ იცქირებოდნენ ეტუბობდა,ვიდაცას ელოდნენ, მაგრამ გარედან ქექა-ქხილისა და წვიმის შხაპუნის მეტი არა ისმოდა-რა. ამასთან კიდევ მათ თვალებს ქექვის ციავი სჭრიდა, რომელიც ყოველ გაელვებაზე საშინელ სუ-

რათს გამოსახავდა, თითქო შემოსავალთან მათ შესაპყრობად სდგანანო, მაგრამ ეს უკანასკნელი მათ არ აშინებდა, რადგან ამას შესჩვეოდნენ და მტრის პასუხის მისაცემად ყოველთვის მზად იყვნენ. გარედ თითქმის შუალამემდის იწვიმა, მაგრამ ბოლოს გამოიღარა; ცამ შავი ღრუბელი გადიყარა და დედა-მიწას მოქათქათე ვარსკვლავებით საამურად დააჩრდა.

— ამხანაგებო, წვიმამ გადიღო.—სთქვა გარედან შემობრუნებულმა ყაჩაღმა და ნაბადი მოიძრო.

— დალოცოს ღმერთმა. ეხლა ნაბადი ცუელი სახმარია. გზებში დიდი ტალახი იქნება და რა ოხრად გვინდა. სიარულს დავვიშლის.—წარმოსთქვა მეორემ.

— ეს კია. მაგრამ ეს კაცი რომ არა სჩანს, რა დემართა?—სთქვა რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ მესამემ და ბელადს გადახედა, რომელიც თავის მოხდენილის და გონიერის სახით ჩაფიქრებული მიმოდიოდა. თითქო იმათ ხმის ამოღებას ელოდაო, ბელადმა მიმართა.

— ამხანაგებო!—სთქვა, თოფს დაებჯინა, ამხანაგებს თვალი გადაავლო და განაგრძო: ჩვენი ახალი ამხანაგი საეჭვოა. მართალია, ერთი კვირა სრულდება, რაც შემოგვიერთდა, მაგრამ ავერ მოკლე ხანში კაცის აწონ-დაწონა შეუძლებელია ის უფრო მაფიქრებს, რომ იგი თავის პირველ ამხანაგებს ჩამოშორდა და ჩვენ შემოგვიერთდა იმავე აღთქმით, როგორც მათ ეკუთვნოდა. ესეც რომ არ იყოს, თუ ის სანდო კაცია, ამაღამ პირველად მოდიოდა ჩვენთან სამოქმედოდ და აქამდის საღ არის? როგორც გვითხრა სოფრომამ ავერ მეხუთე წელია მოუსვენარ ცხოვრებაშია თურმე. ჩვენი ხელობის სუსტი ხასიათის კიცს აწინად სწყინდება ასეთი ცხოვრება, გაურბის მას, და შორდება. მაგრამ არა შეუცოდებლად, არამედ ამხანაგების გაცემით ცდილობს თავისი პირადი ბედნიერების მოწყობას. ასეთი რამ განზრახვა რომ არა ჰქონდეს სოფრომას, არც აქამდე დაიგვიანებდა

— წვიმა შეუშლიდა ხელს!—მიუგო მეორემ.

— ჩვენი ხელობის კაცი არა თუ წვიმამ,

თვით ჯოჯოხეთმაც არ უნდა დააბრკოლოს: მღელვარე ზღვის ტალღები უნდა გადალახოს და ამხანაგებისათვის მიცემული სიტყვა-კი შეასრულოს. განა არ გაგივიათ რამდენმა ამხანაგმა უღალატა პირიანდელ მიზანს და მტრებს მიუდგა? რა იცით, რომ ეგეც ერთი მათგანი არ არის? წარმოსთქვა ბელადმა და მღელვარება დაეტყო.

— შენი იქვი არც ტყუილია. სოფრომა ამ დღეებში ძალიან მოუსვენრად დადიოდა, სულ ფიქრობდა, გაბრინდებულ იყო. გუშინ ვკითხე, რათა ხარ მოწყენილი მეთქი. მითხრა: სანამ დედას არ ვნახავ, ვერ მოვისვენებო, ამ სილამოს ვითომ დედის სანახაოდ წავიდა — უთხრა ბელადს მესამემ.

— მკრე იცით-კი, რომ დედა ჰყავს და აქაურია?—გააწყვეტინა სიტყვა მესამე ყაჩაღს ბელადმა და სხვებს გადახედა.

— არ ვიცით, არა...—შესძახეს ერთ ხმად

ყველამ და საშინელმა იქვმა შეიპყრო.

ყაჩაღები ამ სილამოს ვილაკას უნდა დასხმოდნენ თავს, მაგრამ ამხანაგის მოუსვლელობამ და და იქვმა ისე შეეკრთო ისინი, რომ გადასწყვიტეს გამოქვაბულის განზორაგებოდნენ და განზრახვაზე ხელი აეღოთ, რათა ხიფათს ასცდენოდნენ.

— გავიდეთ, გავიდეთ, სანამ თავს დაგვესხმოდნენ!—წარმოსთქვა კარის მცველმა. ყველანი დაიძრნენ.

— ბა მოიმარჯვეთ თოფები და გამოდით! ფრთხილად! თუ ვინიკობა გაცემული ვართ, იგრე ნუ დაფიხოცებთ, რომ გამოქმსაც არ გადავუხადოთ სმაგვირო!—შეძახა ბრძანების ხმით ბელადმა. ისინიც ერთ თვალის დახამხამებაში გამოვიდნენ გამოქვაბულიდან და მიიმაღენ ტყეში.

(შემდეგი იქნება)

ვ. ფურცხვანიძე



კომპოზიტორი პ. ფოცხვერაშვილი თბილისში



27 აგვისტოს „ახალ კლუბში“ გამართულ სიმფონიურ კონცერტში, თითქოს შემთხვევით, გამორეული იყო სამი ნუმერი ჩვენი მშობლიური მუსიკისა. სეზონის დასაწყისში მამახალიძის განზრახვა ჰქონდათ სეროზულად დაეყენებიათ კონცერტების საქმე და ჩვენს

საზოგადოებაში გაეღვიძებინათ სიყვარული, გაეადვილებინათ გაცნობა მშობლიური მუსიკისა, მაგრამ ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებთ სულ რაღაც შემთხვევითი ხასიათი ეძლეოდა. საჭირო-კი არის, ღვთის წინაშე, ქართველები ეჩვენოდნენ თვის მშობლიურ ჰანგების შეთვისებას. მუსიკალური ცოდნა და წყონან ჩვენს საზოგადოებას აკლია, რომ, როგორც მოვლდნენ, შეადგინოს ნაწარმოები და თუ გრძნობაც არ გაიწვრთნა, იგი მხარს ვერ მისცემს და წინ ვერ წასწევს მშობლიურ მუსიკას, რადგანც ის მისთვის უცნობია. ჩემი აზრით, ამით აიხსნება ის უცნაური მოვლენა, რომ ჩვენს მუსიკას და იმ „სუსტს“ ნაწარმოებთაც, რომელნიც ჯერ-ჯერობით მოგვეჩვენება, უცხოანი უფრო მეტის ინტერესით ექცვიან და მოსწონთ, ვიდრე ჩვენ. ამიტომ ფრიად სასიამოვნო იყო იმ სამიოდე ნუმრის მოსმენა „ახალ კლუბში“ 27 ამ თვეს.

რაც შეეხება თვით ასრულებულ ნაწარმოებთ, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ რომ შეგვეძლოს ღრმა, აზრით მუსიკას ჩაეწვდეთ და კომპოზიტორის განცდანი განვი-

ცადოთ, ჩვენ რომ ის საშინელი სენი არა გეჭირდეს, რომელიც „საკუთარს“ უარყოფაში, აბუჩად ავღებნას და გაჭირდავში მდგომარეობს, ფოცხვერაშვილის კონცერტზე ასრულებულნი ნაწარმოებნი ფრიად საყურადღებო და ჩვენთვის სასიკადალო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ბალანჩაივის „დავლური“ და ლეკური „აზ. . . თაბარ კბიურიდან“ ლამაზად და ნაზად შემუშავებული ნაწარმოებია; თავისუფლად და მარტივად გადმოცემულია სული ამ ცეკვისა და ყოველ ქართველს გულში ხვდება, რადგანაც ყველასთვის გასაგებია. რაც შეეხება ფოცხვერაშვილის „საღვთო როკვას“, მისივე ოპერა „კერათა დამობიდან“, იგი უკვე, ასე ვთქვათ, იღვრის. აზრანი მუსიკა; იგი არ არის მსუბუქ და ლამაზ ბეგრათა ხლართული, არამედ კომპოზიტორი მუსიკის საშუალებით სცილილობს გადმოცეკვს ერთგვარი იდეა, აზრი. იგი ამოღებულა ოპერიდან, მაგრამ ამ ყაბად თვით ოპერას ჩვენ ვერ შევუხებთ, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოებში ცხადდ ტრიალებს უჩვეულის წინაპრების, წარმართობის დროინდელი სული. ცხადდ დასახულია კერპის წინაშე განუვითარებელი წარმართის შიში და სასოება, მწუხარება და სიხარული, თხოვნა და მოთხოვნა. აქ ავტორის ილიკი განუზრახავს დაგვიმტკიცოს, რომ ჩვენი თანამედროვე ჰანგები და ერთგული ცეკვა-თამაშის იმ უძველეს დროს არიან ჩასახულინი: აქა-იქ მართლაც, ამ აზრის გამოსათქმელად სმენას თითქოს ნაცნობი ჰანგები ხვდება. აქ ჩვენი გონების თვალის წინა

სდგას მთელი თვისი მუწუხარება-სიხარულით ჩვენი უძველესი წინაპარი ლოკვად. ამავე აზრს, ამავე იდეას გამოხატავს „ფინალიტ“ კერპის დამხობისა. აქაც ავტორს აღებული აქვს ის მომენტი, როდესაც ორი რწმენა, რწმენა წარმართისა და ლმობიერი რწმენა ქრისტიანისა ერთმანეთს შეეტაკებენ. გონებრივი ან ზნეობრივი და სულიერი გარდაქმნა ადამიანისათვის ხომ ერთი უძლიერესი ტრაგიული განცედა და ადამიანში ამ მომენტით დიდი რევოლუციკია ხდება. ჩვენი ერის ფანტაზიაში ხომ წინდა ნინოს სტოგობებაში ჩააქსოვა ეს მომენტი და გადმოგვცა, რომ ჭექა-ქუხილისა და მებისაგან დაინგრუნენ წველი კერებო, და, აი, ჩვენი კომპოზიტორიც დასწვდა ამ თქმულებას, გადმოგვცა მუსიკაში ეს ჭექა-ქუხილი, ეს ტრაგიზმი ადამიანის სულისა, რომელსაც ემსხვრევა ძველი კერები, სილიად იმ მომენტისა, როდესაც ძველის ნანგრევებზე ახალი რწმენა ინერგება და ამიტომცა ყოველი ფრაზა ამ ფინალისა ასეთი ცვალებადი, მუწუხარება-სიხარულისა, ვაებისა და სასოების გამომატველი. ბოლოს ადამიანი გადაიტარებს რა ამ რევენ-შენების რევოლუციკონურ ქარიშხალს, ამ აღტყინებულს ხმებს დასძლეეს სათნო და ნაზი ჰანგები, ქრისტიანული ლმობიერებით განბანილი. დიდხანს ებრძიან ერთმანეთს წარმართული საღვთო როკვისა და ქრისტიანული, სახარების მოტივები და დაინგრევიან რა კერანი, გამარჯვებული გამოდის ქრისტიანული მოტივი, მაგრამ იგი გამარჯვებით არ ამაყობს და ისევ აუღლებელად სასოებას და სათნაებას გულში გვიჩვენებს.

არ ვიცი, დამსწრე საზოგადოებას მოეწონა თუ არა; ტაში ბევრი იყო. გამეორებდას კი იხიხვიდნენ, მაგრამ მიიწი არ ვიცი მოეწონათ თუ არა, რადგანაც ყველაფერი „ჩვენის“ შესახებ ჩვენ მაშინვე სახვერავ, სასტიკი კრიტიკოსის პოზიციას მივიღებთ ხოლმე და თითქმის გამობობთ: რაც უნდა კარგი იყოს, მიიწი არ მოეწონებ, არა და არაო და უბრალო „ტრეპაკას“ კი აღტაცებით ვეგებებით, რადგანაც ამ მოტივს ვიცნობთ და ის გვიხარია, რომ მუსიკაში ნაცნობი ხმები ვაგვიანეთ. ჩვენს შრობილურს ჰანგებს კი ჩვენ ვერ ვიცნობთ, ვერც ვიგონებთ და აღარც გვაკმაყოფილებს...

სა-ნი

P. S. როგორც ვაგივეთ, ზოგიერთებს უნდათ ბ.კ. ფოცხევაშვილის სთხოვნა—აქაც გაიმეოროს ის სასულიერო კონცერტი, რომელმაც მთელი პეტროგრადი ამას წინად აღტაცებაში მოიყვანა. დიდად სასურველი იქნება, თუ ეს მართლაც მოხერხდა.

სა-ნი

რედაქციისგან: 1) ამ ნომრისთვის მომზადებული წერილი აეროფუნული სკიათხი რუსეთის საზოგადოებაშია ს. და-ნისა, მომავლად კერძან დაბეჭდვებს; 2) „სომხსინკე, როგორც სახე მე-19 საუკ. ქართველისა დეკანაზღაძემაც“, გას. კოტეტაშვილის, სენგან დამოუკიდებელ მიხეცთა გამო ვერჯერობით ვერ იბეჭდვებს.

წიკრილი ხმებები

➤ **ქართ. ღრამ. ღასნი** შეიკრება გასულ ორ-შაბათს, 25 აგვ. ქართ. თეატრში. კრებას დაესწრო დრ. სპ. მდივანი, იგივე თეატრის დირექტორი ი. გედევანიშვილი, რომელმაც მოკლედ აღუხანა მომავალ მუშაობის გეგმა, მსახიობთ მუყაითი შრომისკენ მოუწოდა, მასთან ზოგიერთი საუკლებელო წესები გააცნო. დასი სრულად გამოცხადდა.

➤ **ღრამ. გამგობა და ღასნი თამ. პ. ი. თუხანიშვილის** თანდასწრებით პირველად შეიკრება სამშაბათს, 26 აგვ. ქართ. თეატრში.

➤ **ქართ. ღასნი** მეკადნიშობა დაიწყო 28 აგვ.

➤ **ქუთაისიდან ვ. გუნიამ** დეკემს მიადლო 5 ხეკვისთევისთეის გამოცხადდით მსახიობნი სამეცნადხეთთ.

➤ **ქართეველა დასმა** უკვე წაიკაოსა ზეესეა ითობრთს სსუელა დ ჩანუნთობსი და ჩვეჯარობა შ. შანაშიძის აკტორის თანდასწრებით.

➤ **ქართ. მსახიობთა კრება** ზუსდგა ქართ. თეატრში ოთხშაბათს, 27 აგვ. რეისორის მ. ქორელის თეატრომარობით. დასმა აირჩია პრეზიდენტობი (ედ. მესხი, ალ. იმედაშვილი და ერთერთი რეისორი, მათ კანდიდატებად პ. კორიშვილი, ა. ლოლუა, მდივანდ გ. ფონოსიპოლი). ამათ ევალებათ მსახიობთა შინაურ საერთო საქმეთა წარმოება. კრებამ დადგინა მსახიობთა ჯამაგირიდან ერთი პროცენტი გადასდონ ომიანობის გამო დახარალებულთა სასარგებლოდ, რაიც გადაეცემა თავ-აზნ. თავისობით შემდგარ კომიტეტს.

➤ **მოკრადი ღასის შემდგან** განუზრახავთ სამსახურ გავრდაჩნდელ მსახიობთ დაბა-სოფლებში წარმოდგენების გასამართვად.

➤ **ღუშეთის წ. პ. ს. ბანაშვილის** პირველი საზოგადო კრება შესდგება მომავალ კვირას, რომელზედაც, სხვათა შორის, განიხილვენ—ღუშეთის ღრამ. წრე წ. პ. ს. შეუერთთნ თუ არა?

➤ **სახალხო სალამო გამგობა** დუშეთის საკრებულთ დარბაზში 18 აგვ. ქ-ნ ივ. იაშვილისა და ბ-ნ ალ. ინაშვილის თათხნობით. წარმოდგენის საყმ. პიესა „ყველითა შორის“, თარ. ლ. ბოცუკისა, წაიკითხეს ლექსები, ქართ. ქალთა გუნდმა ბ-ნ გ. გელაშვილის მოტარობით იმღერა ქართ. სიმღერები. დღმთალი საზოგადოება დაესწრო. შემოსავლიდან 40 მ. ქ. შ. წ. განუ. ვადასცეს, 5 მ. ჯარისკაცთა დამხმარე კომიტეტს.—სასურველია ასეთი საღამოები ხშირად იმართებოდეს.

➤ **სახალხო სალამი** ამ მოკლე ხანში დაიწყებენ წარმოდგენებს.

➤ **ბაქოს ღასის რეისორი** შალვა დადიანი და მსახიობქალი ელ. ანდრონიკაშვილი სოფლიდან დაბრუნდენ და ამ დღებში ბაქოს გამეზგარებინან.

ქუთაისში



ქალაქი ქაბახაძე

საქათესო სილუეტის

თვილისში

(წ.—25)

ექ. ვასტანგ ღამბაშიძის

სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
 ძალ-ვაჰუთათვის 8—5 წლამდე

დაწერილებით პირობები მსურველთ ვაგე-
 ზანებებთ ფოსტით მოთხოვნილებისათავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ღამბაშიძე**
 ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

იქიგებუი:

ა. ო. იაზვილი
 (თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)
 შინაგან ჯვადმყოფობათს.
 დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
 წყნეთის ქ., № 19.

კბილისა ალ. სოლოლაშვილი
 იღებს ჯვადმყოფებს
 დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
 ვოლოკინის პრ., № 12.

ვ. ღ. ღამბაშიძე
 შინაგან და ბავშვთა ჯვადმყოფობათსა.
 ვარდის უბნის ქ. № 9.

ბ. ე. თიკაძე
 (თბილისის საქალაქო მკურნალი)
 შინაგან სნეულებათს
 დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.
 კორაჩნი ქ. № 18

შ. ა. მიქელაძე
 შინაგან და ბავშვთა ჯვადმყოფობათს.
 საღამოთი 6—7 ს.
 მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

გ. ვ. ნათიშვილი
 განისა, ვენერაული და სიფილისისა.
 დილით 11½—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
 მონაშენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

სინათლე ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გვამყვანიშვილისა.** ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატი.

ფ. 30 ქ. ათობლივ და ასობლივ ნაღებზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифლის, ред. „Театри да Цховреба“—Иосифу Имедашвили.

(10—4)

ახალი წიგნი

ლექსები, სცენები და პოთხრობები

ა. მ. ახანაშვილისა

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. 60 კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაკრებებს ჭეუღლებურიც 9% დაეთმობა.

(5—4)

ივერეთი უკველდლიური სალიტ.-საღ. გაზეთი
 ახალ რედაქციით და თანამშრომლებით **გაზეთის ფასი:** წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით—4 აბაზი, ცალკე ნომერი 5 კაპ.

სახლგარ ვარედ წლიურად 15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

მისამართი: Кутаиси, ред. газ. „Имерети“.
 რედაქტორ-გამომცემელი **მ. ჯელიძე**

ურთა სალიტ.-საპოლ. გაზეთი გამოდის ორ მუბათობით

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარანუხოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., სახლგარ ვარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаиси, ред. еженед. груз. газеты „Шрома“

„სორაბანი“-ს გამომცემი
დაბეჭდა ქართული მუერლები
 და გამოვიდა ქართველი მუერლები
 შედგენილი ი. გომელაურის მიერ, წან. I
 ფსი 80 კ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფი უაპო-
ლოსა გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11 - 79

დღეს, კვირას 31 ჯაგვისტოს	სინემატოგრაფი, მუსიკა, ცეკვა.
ორშაბათს 1 სექტემბერს	სინემატოგრაფი.
სამშაბათს 2 სექტემბერს	სინემატოგრაფი, მუსიკა.
ოთხშაბათს 3 სექტემბერს	საზანდარი.
ხუთშაბათს 4 სექტემბერს	საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა.
პარასკევს 5 სექტემბერს	საზანდარი; ცეკვა.
შაბათს 6 სექტემბერს	სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.
კვირას 7 სექტემბერს	სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები—25 კ., ქალები—10 კ. დასაწყისი
საღამოს 8¹/₂ საათზე.
კლუბი ვრცელი დაყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცივს სხვადასხვა საქველმოქ-
მედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.
კლუბში გაიმართება ხოლმე ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტე-
რატურო და ვოკალური საღამოები და აგრეთვე სახალხო სეირნობანი.